მათემატიკის ოლიმპიადის ფინალური

ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-2 კლასი

ტესტი შედგება 12 ამოცანისგან და 4 სავარაუდო პასუხისაგან. **მისი ჯამური ქულაა 50**. სხვადასხვა სავარჯიშოს აქვს განსხვავებული ქულა, რომელიც დამოკიდებულია სირთულესა და ამოცანის ამოსახსნელად საჭირო დროზე. ტესტში მოცემულია ამოცანები შემდეგი გადანაწილებით:

2 ცალი	**2 ქულიანი**
2 ცალი	**3 ქულიანი**
3 ცალი	**4 ქულიანი**
3 ცალი	**5 ქულიანი**
1 ცალი	**6 ქულიანი**
1 ცალი	**7 ქულიანი**

მოსწავლემ უნდა შემოხაზოს პასუხი ლოგიკურად (ამოცანიდან გამომდინარე), ჯერ ამოხსნას ამოცანა და შემდეგ აირჩიოს სავარაუდო პასუხი, ან გამორიცხვის მეთოდით მივიდეს სწორ პასუხამდე (მოცემული პასუხებიდან გამომდინარე).

არითმეტიკა და რიცხვებზე მოქმედება

მოსწავლემ უნდა შეძლოს მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება (შეკრება, გამოკლება, მოქმედებათა სწორი თანმიმდევრობით).

მაგალითი: (3 ქულა) ვაჟა 4 წლის წინ იყო 17 წლის. რამდენი წლის იქნება ის 9 წლის შემდეგ?

A) 21 B) 22 C) 26 D) 30

ლოგიკური აზროვნება

ამოცანების ნაწილი დაკავშირებულია ტექსტის გაანალიზებასთან, საათისა და დღეების ცნობასთან. ასეთი ამოცანები ავითარებს მოსწავლის ლოგიკურ აზროვნებას.

მაგალითი: (4 ქულა) ცნობლია, რომ რომელიღაც წლის 17 სექტემბერი იყო სამშაბათი. რა დღე იქნება იმავე წლის 1 ოქტომბერი?

A) ორშაბათი B) სამშაბათი C) ოთხშაბათი D) ხუთშაბათი

რიცხვების შედარება

ასეთი ტიპის დავალებები ავითარებს ლოგიკურ აზროვნებასა და რამდენიმენაბიჯიან გამოსახულებებზე მუშაობის უნარს.

მაგალითი: (3 ქულა) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია უმცირესი რიცხვი?

A) 1+3+5-4 B) 0+1+3 C) 6+7+8 D) 20-18

გისურვებთ წარმატებას და გელოდებით, 14 დეკემბერს მათემატიკის ოლიმპიადის ფინალურ ტურზე.
მათემატიკის ფინალური ტურის საფასურია 29 ლარი. გადახდისათვის ეწვიეთ ბმულს:
https://kings.ge/gadaxda